ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE NEWUNI

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

დამტკიცებულია: რექტორის ბრძანებით N 13-ს
თარიღი: 11.09.2013
ბოლო ცვლილება: რექტორის ბრძანებით N 19-ა
თარიღი: 24.12.2024

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – „ნიუუნი“

შინაარსი:

თავი I. ზოგადი დებულებები **2**

თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვება **2**

თავი III. განათლების (ECTS კრედიტები) აღიარების წესი **6**

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა **12**

თავი V. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა **14**

თავი VI. სტუდენტის მიერ საკუთარი პროფილის ფორმირება და მოდიფიცირება **15**

თავი VII. სტუდენტის შეფასება **16**

თავი VIII. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები **23**

თავი IX. აკადემიური ხარისხის მინიჭება **27**

თავი X. დასკვნითი დებულებები **28**

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი (შემდგომში - სასწავლებელი) სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიან პროცედურას, სტუდენტის უფლება-მოვალეობებსა და სხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარგეულირებელი წესი (შემდგომში-წესი) შესასრულებლად სავალდებულოა სასწავლებლის სასწავლო პროცესის ყველა მონაწილის - აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე, სასწავლო პროცესის განხორციელების ხელშემწყობი ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

მუხლი 2. სწავლების ენა

სასწავლებელში სწავლების ენა არის ქართული.

თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი

1. ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი (შემდგომში-სასწავლებელი) ახორციელებს ბაკალავრიატის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს;

2. სასწავლებლის მიერ განხორციელებულ უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატში) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვისთვის დადგენილი წესის შესაბამისად;

3. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე პირი ვალდებულია გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე მოიპოვოს სასწავლებელში ჩარიცხვის უფლება;

4. სასწავლებელში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს სასწავლებლის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში აბიტურიენტი ვალდებულია მიმართოს სასწავლებელს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე;

5. სტუდენტის განცხადების და სტუდენტთან დადებული სასწავლო ხელშეკრულების საფუძველზე სასწავლებლის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს სასწავლებელში სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ;

6. სასწავლებლის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;

7. აბიტურიენტი, რომელიც ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე არ მიმართავს სასწავლებელს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად, უფლებამოსილია მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე;

8. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირებს (უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე ან საქართველოს მოქალაქე) სასწავლებლის სტუდენტის სტატუსი მიენიჭება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად („უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი - მუხლი 52, პუნქტი 3; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №224/ნ);

9. სასწავლებელში ჩარიცხვის მსურველი მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირი მიმართავს სასწავლებელს, რომელიც ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მისი სასწავლებელში ჩარიცხვის მიზანშეწონილობის თაობაზე და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გასცემს თანხმობის წერილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად;

10. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის საფუძველზე იღებს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

11. სასწავლებელში ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია ქართული ენის ცოდნის დადგენის მიზნით, სასწავლებელში გაიაროს გასაუბრება და/ან წარმოადგინოს ქართული ენის ცოდნის დონის (მინიმუმ

B2) დამადასტურებელი სერტიფიკატი[1], გაცემული სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანოს[2] მიერ. გასაუბრების ვიდეოჩანაწერის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სასწავლებელი.

მუხლი 3[1]. მსჯავრდებული პირის მიერ სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი

1. ახალი უმაღლესი სასწავლებელი მსჯავრდებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას ისწავლონ ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებზე;

2. სასწავლებლის მიერ განხორციელებულ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საბაკალავრო პროგრამებზე მსჯავრდებული პირის მიერ სტუდენტის სტატუსის მოპოვება და განათლების მიღება ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N72/N30/ნ ერთობლივი ბრძანების (2018 წლის 21 მარტი) „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების წესისა და პირობების და შესაბამის სპეციალობათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საფუძველზე.

მუხლი 4. მობილობის წესით სასწავლებელში სტუდენტის ჩარიცხვა

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი;

2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელიც არის დაწესებულების სტუდენტი, მაგრამ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

---

[1] ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ტესტირების საფასურის ანაზღაურებას უზრუნველყოფს სასწავლებელი;

[2] საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც გაიცემა ენობრივი
კომპეტენციის შეფასების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) გათვალისწინებით, ადგენს ქართული ენის ცოდნის დონეს და განკუთვნილია მათთვის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა.

3. შიდა მობილობის პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა კანონმდებლობით დადგენილი წესით სასწავლებელში ჩარიცხვის უფლების მოპოვებისთანავე.

მუხლი 5. მობილობის წესი და პროცედურა

1. აკადემიურ პროგრამებზე მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით;

2. თავისუფალი ადგილების რაოდენობის გამოთვლისას სასწავლებლისათვის განსაზღვრული ადგილების მაქსიმალურ რაოდენობას აკლდება დაწესებულებაში რიცხული სტუდენტების რაოდენობა, ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტების მისაღებად გამოცდების ეროვნულ ცენტრში რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა და ემატება დაწესებულებაში არსებული კურსდამამთავრებული სტუდენტების რაოდენობა (სტატუსშეჩერებული სტუდენტი არ განიხილება საერთო რაოდენობაში);

3. მობილობის ვაკანსიები ფაკულტეტის/ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად ქვეყნდება სასწავლებელის ვებ-გვერდზე და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე;

4. მობილობის გამოცხადების შემდეგ, სასწავლებლის რექტორი ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის სასწავლებელში წარმოდგენა, მათ მიერ ელექტრონული რეგისტრაციის გავლის პარალელურად;

5. მობილობის მსურველს ევალება წარმოადგინოს სასწავლებელში ყველა ის დოკუმენტი, რომელიც სავალდებულოა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტის სასწავლებელში ჩარიცხვისათვის, ასევე, მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების მოთხოვნის შემთხვევაში, მობილობის მსურველს მოეთხოვება აკადემიური ცნობის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - დამატებითი დოკუმენტაციის (კურიკულუმი, სილაბუსი) წარმოდგენა.

6. სასწავლებელი იხილავს სტუდენტის პირად საქმეს და იღებს გადაწყვეტილებას მობილობის მსურველის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შესახებ ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.

მუხლი 6. მობილობის შედეგები

1. მობილობის მსურველი მოიპოვებს სასწავლებელში ჩარიცხვის უფლებას სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მის ჩარიცხვაზე გაცემული დადებითი დასკვნის შემთხვევაში;

2.მობილობით სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე სასწავლებლის რექტორი გამოსცემს ერთიან/ინდივიდუალურ ბრძანებას, რომელიც სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში;

3.მობილობასთან დაკავშირებით პროცედურები, რომელიც არ განისაზღვრება ამ წესით რეგულირდება საქართველოს საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებით №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ “.

თავი III. განათლების (ECTS კრედიტები) აღიარების წესი

მუხლი 7. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი არეგულირებს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (შემდგომში: პირველადი უსდ) მობილობის/აღდგენის მსურველი პირის, ასევე ახალი უმაღლესი სასწავლებლის (შემდგომში: სასწავლებელი) შიდა მობილობის/აღდგენის მსურველი პირის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების თავსებადობის განსაზღვრისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების პრინციპებს;

2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება გულისხმობს უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებას და საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენას. უცხოეთის უსდ-ში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უსდ-ში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის საქართველოს უსდ–ში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების

დოკუმენტის საფუძველზე იღებს შესაბამისი უსდ. უცხოეთის უსდ-ის პროგრამის სასწავლო კურსების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება ფორმდება საქართველოს უსდ–ს მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე, რომელშიც მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი პროგრამის შესაბამისობა უსდ–ის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

3. სასწავლებელი აღიარებს საქართველოში მოქმედი ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების (შემდგომში - უსდ) მიერ მინიჭებულ აკადემიურ ხარისხებს და კვალიფიკაციებს, ასევე ამ უსდ-ს მიერ განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებულ კრედიტებს და შეფასებებს;

4. სასწავლებელში სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსების სილაბუსების (სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების) ანალიზის საფუძველზე.

5. აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ უსდ-ს უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები აღიარდება ბაკალავრიატის პროგრამის მიზნებისთვის. მობილობისას დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტები აღიარდება ბაკალავრიატის პროგრამასთან თავსებადად;

7. სასწავლებელში მობილობით ჩარიცხვის მსურველთა ან შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარების აქტი ფორმდება შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ შესწავლილი პროგრამის შესაბამისობა/თავსებადობას აუს-ს/სასწავლებლის საბაკალავრო პროგრამასთან, კრედიტების აღიარების კომისიის მიერ. აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურაში ჩართულნი არიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელები.
8. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება/დასკვნა ასახავს რეკომენდაციას სწავლის გაგრძელების სემესტრის შესახებ და ეცნობება

დაინტერესებულ პირს, რომელიც ადასტურებს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილს ან უარს ამბობს სწავლის გაგრძელებაზე.

მუხლი 8. კრედიტების აღიარების რეგულაციები

1. ახალ უმაღლეს სასწავლებელში საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის ფარგლებში გადმოსული/აღდგენილი სტუდენტის კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს:

ა) ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან **(ECTS)** შესაბამისობა;

ბ) სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და თავსებადობა;

გ) სასწავლებელში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობა და თავსებადობა (ეს ეხება ე. წ. თავისუფალ კრედიტებს).

2. მიღებული კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ პირველად უსდ-ში შესწავლილი და სასწავლებელში არჩეული საბაკალავრო პროგრამების კომპონენტების თავსებადობის დადგენის გზით: კრედიტების აღიარება შეიძლება მოხდეს: მიღებული კრედიტების პირდაპირ აღიარების, პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლის ან კომპონენტების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე. სასწავლებლის პროგრამასთან ნულოვანი თავსებადობის (შესაბამისობის) შემთხვევაში პირს შეუძლია უარი თქვას სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე ან პირი ვალდებულია სრულად შეისწავლოს სასწავლებლის საბაკალავრო პროგრამა;

3. აღიარებას ექვემდებარება აღიარებული არასპეციალობის და სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტები (მათ შორის ე.წ. „თავისუფალი კრედიტების“) და პროგრამის სხვა კომპონენტების კრედიტები (გარდა საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკისა);

4. მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის აღიარებას ექვემდებარება მის მიერ პირველად უსდ-ში გავლილი და მობილობის განხორციელების შემთხვევაში შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად

5. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა სასწავლებლის/აუს-ს საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა

კომპონენტის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას - მაშინ ავტომატურად ხდება სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის აღიარება;

6. თუ სტუდენტის მიერ პირველად უსდ-ში შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის სხვა კომპონენტების დასახელება და კრედიტების რაოდენობა არ ემთხვევა სასწავლებლის/ახალი საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელებას, შესაძლებელია მათი აღიარება სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად, თემატური შეთავსების საფუძველზე; (მაგ. „ფილოსოფია" შეიძლება აღიარებულ იქნას, როგორც „შესავალი ფილოსოფიაში" ან „ფილოსოფიის საფუძვლები");

7. თუ შესწავლილი მიმართულების/სპეციალობის სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელება არ ემთხვევა სასწავლებლის საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელებას - მაშინ შინაარსობრივი შესწავლის (მიზნების, შინაარსის, სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურის და სწავლის შედეგების შედარების) საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის შესაბამისობა და მოხდეს მისი აღიარება სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
8. დასაშვებია სტუდენტის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით, ასეთ შემთხვევებში განვლილი კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს, როგორც ე.წ. თავისუფალი კრედიტი;
9. თუ ე.წ. თავისუფალი კრედიტების რაოდენობა ასაღიარებელი კრედიტების რაოდენობაზე მეტია, კომისია ამ კურსებიდან, სტუდენტთან შეთანხმებით, ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასება აქვს, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სურს, რომ მის მიერ შესწავლილი ყველა სასწავლო კურსი გაწერილი იყოს დიპლომის დანართში, აღიარებულ იქნება სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ნორმირებული რაოდენობა, ხოლო დანარჩენი ყველა სასწავლო კურსი პირობითად იქნება აღიარებული, ანუ კრედიტების საერთო რაოდენობის განმსაზღვრელი არ იქნება და ჩაიწერება დიპლომის დანართში;
10. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტის მიერ გავლილი სპეციალობის სასწავლო კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს როგორც ე.წ. თავისუფალი კრედიტი / არჩევითი სასწავლო კურსი; თუ სტუდენტის მიერ გავლილი და/ან აღიარებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა უტოლდება პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობას, სტუდენტი აღარაა ვალდებული სწავლის შემდგომ პერიოდში შეისწავლოს

თავისუფალი სასწავლო კურსები. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თავისუფალი კურსების დატვირთვის დროში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა მოისმინოს დამატებითი კრედიტები (არსებობის შემთხვევაში), და/ან ეს დრო დაუთმოს ძირითადი სასწავლო კურსების შესწავლას;

11. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება ან/და შინაარსი ემთხვევა სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კურსის დასახელებას ან/და შინაარსს, ხდება კრედიტის აღიარება სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით (მაგ, თუ სტუდენტის მიერ პირველად უსდ-ში შესწავლილი სასწავლო კურსის ანალოგიურ სასწავლო კურსს მიმღებ პროგრამაში ნაკლები კრედიტი აქვს მინიჭებული, მაშინ აღიარებული იქნება პირველად უსდ-ში მოპოვებული კრედიტი, ხოლო თუ მიმღებ პროგრამაში ანალოგიურ სასწავლო კურსს მეტი კრედიტი აქვს მინიჭებული, შესაძლებელია აღიარებულ იქნას მიმღები პროგრამის კრედიტის ოდენობით, თუ შესწავლილი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იძლევა ამის შესაძლებლობას).

12. პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც სტუდენტს უღიარდება სასწავლებლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისათვის;

მუხლი 9. ECTS საკრედიტო სისტემისგან განსხვავებული შეფასებების აღიარება

1. თუ მობილობის მსურველი სტუდენტის პირველადი უსდ იყენებდა/იყენებს ECTS განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი (მ.შ სასწავლო ბარათი), რომელშიც მიეთითება ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან;

2. სასწავლებელი უფლებამოსილია გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არის შედგენილი ECTS-ის შესაბამისად, მითითებული აკადემიური/საკონტაქტო საათების ანალიზის საფუძველზე, სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების გზით, შემდეგი წესის დაცვით:

- მითითებული საკონტაქტო (სს) და დამოუკიდებელი (დს) საათების ჯამი გაყოფილი 25-ზე (ახალ უმაღლეს სასწავლებელში 1 კრედიტი = 25 საათს), ანუ კრედიტი = სთ (სს+დს) / 25;
- მითითებული მხოლოდ საკონტაქტო საათების შემთხვევაში, შედარება მოხდება სასწავლებლის ანალოგიურ სასწავლო კურსთან/პროგრამის კომპონენტთან და კრედიტი მიენიჭება ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად; ხოლო ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის არარსებობის

შემთხვევაში დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ჩაითვლება საკონტაქტო საათების (სს) ტოლად, ანუ კრედიტი = სს x 2 / 25.

გამოთვლის შედეგად მიღებული რიცხვი დამრგვალდება მთელ რიცხვამდე დამრგვალების წესის შესაბამისად.

3. შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე პირობითი გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

ფრიადი (5)	91 ქულა	A
კარგი (4)	80 ქულა	B
დამაკმაყოფილებელი (3)	60 ქულა	E

ხოლო მხოლოდ სიტყვიერი შეფასების შკალა მოცემული ამ შემთხვევაში კონვერტაცია (100 ქულიან სისტემაზე პირობითი გადაყვანა) დადგინდეს შემდეგი პრინციპით:

ფრიადი	91 ქულა	A
ძალიან კარგი	81 ქულა	B
კარგი	71 ქულა	C
დამაკმაყოფილებელი/საშუალო	61 ქულა	D
საკმარისი/დამაკმაყოფილებელი	51 ქულა	E

- თუ სტუდენტს სასწავლო კურსში მიღებული აქვს:
- ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა “(ნიშნის მითითებით), მაშინ მისი აღიარება ხდება 5 ბალიანი სისტემიდან 100 ქულიან სისტემაზე პირობითად გადაყვანის პრინციპის (ზემოთ მითითებული ცხრილის) შესაბამისად;
- ე.წ. „ჩათვლის (ნიშნის გარეშე) აღიარება ხდება ქულის პირობითი გადაყვანით 100 ქულიან სისტემაზე მაქსიმალური შეფასების მინიჭებით (ჩათვლა = 91 ქულა A).

მუხლი 10. რეკომენდებული სასწავლო სემესტრი

1. აღიარებული კრედიტების რაოდენობის მიხედვით სტუდენტი სწავლას განაგრძობს კომისიის მიერ განსაზღვრული სემესტრის შესაბამისობით:

აღიარებული კრედიტების რაოდენობა	რეკომენდებული სემესტრი
15 კრედიტამდე	I
15 - 45 კრედიტი	II
46 - 75 კრედიტი	III

76 - 105 კრედიტი	IV
106 - 135 კრედიტი	V
136 - 165 კრედიტი	VI
166 - 195 კრედიტი	VII
196 კრედიტიდან	VIII + დამატებითი სემესტრ(ებ)ი

2. სწავლის გაგრძელების რეკომენდებული სემესტრის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობა და სასწავლებლის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის შესწავლის წინაპირობები; აგრეთვე, მხედველობაში მიიღება, რომ სტუდენტის მიერ შესწავლილი და სასწავლებლის მიერ აღიარებული სასწავლო კურსი/პროგრამის კომპონენტი შეიძლება იყოს გათვალისწინებული სასწავლებლის საბაკალავრო პროგრამის მომდევნო სემესტრებში;

3. აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობიდან და საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი კომპონენტების/სასწავლო კურსების წინაპირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრ(ებ)ის გავლა, რაც სტუდენტს ეცნობება წინასწარ.

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეჩერების განმარტება

სტუდენტის სტატუსის შეჩერება არის სტუდენტისა და სასწავლებლის მიერ ერთმანეთის მიმართ სასწავლო პროცესით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებითი გათავისუფლება, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობით ან შესრულების მომავალი შეუძლებლობით.

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

დ) ფინანსური დავალიანება;

ე) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ვ) ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეთიკის კოდექსის დარღვევისა ან/და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებიდან გადაცდომის შემთხვევაში.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა ჯამში 5 წელი.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება სასწავლებლის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. სტუდენტის სტატუსის შეჩერება უნდა დაფიქსირდეს რეესტრში;

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, სასწავლებელი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან;

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს დაწესებულებაში სტატუსის აღდგენის ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) უფლებით;

6. იმ შემთხვევაში, თუ ის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია, ან შეცვლილია მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს მსგავსი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7. ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

8. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც ამ წესით არ განისაზღვრება, რეგულირდება სასწავლებლის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებას №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“.

9. იმ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის მარტის მდგომარეობით, სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა დაიწყოს 2024 წლის პირველი მარტიდან.

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე.
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები, რომლების ამ წესით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. უცხო ქვეყნის მოქალაქის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, ასევე მოქმედებს ამ წესის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი.

თავი V. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

მუხლი 14. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის განმარტება

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არის პირისათვის სტუდენტის სტატუსით მინიჭებული ყველა უფლება-მოვალეობებისაგან გათავისუფლება.

მუხლი 15. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი

1.სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
გ) შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
დ) შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
ე) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
ვ) მობილობით სხვა უსდ-ში გადასვლა;
ზ) გარდაცვალება.
2. სტუდენტის სტატუსის შეწვეტა ფორმდება სასწავლებლის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით და წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან;

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, რა ვადაშიც პირი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI. სტუდენტის მიერ საკუთარი პროფილის ფორმირება და მოდიფიცირება

მუხლი 16. კრედიტების განაწილება

1. კრედიტი ნაწილდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს.
2. სასწავლო კომპონენტი (საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, წარმოდგენილი სასწავლო კურსის/საგნის, პრაქტიკის, პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით) არის ერთსემესტრიანი.
3. ერთი კრედიტი (ECTS) მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთას 25-30 საათის განმავლობაში, რომელიცაერთიანებს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია სტუდენტის სასწავლო დატვირთვის მოცულობა 25-30 საათის ფარგლებში განსაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;
4. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგისა და მიზნების მისაღწევად.
5. კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.
6. ერთი და იმავე შინაარსის, მოცულობის, მიზნებისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისთვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

მუხლი 17. სასწავლო კვირა/ სემესტრი/ წელი

1. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.
2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს.
3. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.
4. ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
6. პროგრამის სპეციფიკისა და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, შესაძლოა რექტორის ბრძანებით განისაზღვროს დამატებითი სემესტრის ვადები.

მუხლი 18. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ გადახდას, რაც წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას.
2. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე სტუდენტის დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით.

თავი VII. სტუდენტის შეფასება

მუხლი 19. სტუდენტის შეფასების სისტემის ზოგადი აღწერა

1. სასწავლო პროცესში თითოეული სტუდენტის აკადემიური დატვირთვის ასახვისათვის, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად, სასწავლებელი იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემას (ECTS);

2. სასწავლებელი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ით გათვალისწინებული სტუდენტთა შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით და მასში შესული ცვლილებ(ებ)ით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისმინისტრის 2016 წლის 29 იანვრის N07/ნ, 2016 წლის 18 აგვისტოს N102/ნ და 2021 წლის 29 დეკემბრის N105/ნ ბრძანებები) დადგენილი წესის საფუძველზე;

3. კრედიტის დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით და მასში შესული ცვლილებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის N07/ნ, 2016 წლის 18 აგვისტოს N102/ნ და 2021 წლის 29 დეკემბრის N105/ნ ბრძანებები) დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისად;

მუხლი 20. სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს რაოდენობრივი მაჩვენებელი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში.
3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
4. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს;
5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
6. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

7. საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდ(ებ)ი და კრიტერიუმები.

8. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს ამ მუხლის მე-8 პუნქტის ა) ქვეპუნქტისგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.

10. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების ან ამ მუხლი მე-8 პუნქტით განსაზღვტული დადებითი შეფასებიდ ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

11. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

12. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

13. სტუდენტთა შეფასებისას, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია ორი ტიპის შეფასების - განმსაზღვრელი და განმავითარებელი - გამოყენება.

14. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით.

15. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული; ამ შეფასებით კონტროლდება თითოეული სტუდენტის განვითარების დინამიკა და ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია პროცესზე.
16. განმსაზღვრელი შეფასება ყოველთვის „ფორმალურია“ და მასში ქულა იწერება, განმავითარებელი შეფასება შესაძლებელია „არაფორმალური“ იყოს.

მუხლი 21. სტუდენტის შეფასების კომპონენტები

1. შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) - 60 ქულა და დასკვნით შეფასება - 40 ქულა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულა;
2. შუალედური შეფასება (60 ქულა) მრავალჯერადია, კერძოდ:
ა) შუალედური გამოცდა – 30 ქულა;
ბ) მიმდინარე შეფასებები - 30 ქულა;
2. ***დასკვნით გამოცდაზე*** დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა. კერძოდ, სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ მიმდინარე შეფასებების და შუალედური გამოცდის კომპონენტების ქულათა ჯამის (60 ქულა) მინიმუმ 21 ქულის (შუალედური შეფასების 35 %) დაგროვება;
3. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია – 20 ქულა (დასკვნითი შეფასების 50%);
4. დაუშვებელია სტუდენტისთვის ერთ დღეს, ერთზე მეტ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩატარება;
5. ***შუალედური გამოცდა*** - სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტი აბარებს ერთ შუალედურ გამოცდას, რომლითაც მოწმდება მის მიერ მიღებული ცოდნა. შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრის მე-8 კვირას და ფასდება მაქსიმუმ 30 ქულით;
6. სასწავლო კომპონენტში დასკვნითი და შუალედური გამოცდა, მიმდინარე შეფასებები ტარდება წერითი და/ან ზეპირი ფორმით, კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მინიმუმ ორი შეფასების მეთოდის გამოყენებით.
7. შუალედური და დასკვნითი შეფასება ხორციელდება შეფასების მეთოდ(ებ)ით – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო

ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, და სხვ და აისახება/კონკრეტდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსში;

8. შეფასების მეთოდი, რითაც დგინდება სწავლის შედეგის მიღწევის დონე, იზომება შეფასების კრიტერიუმით და აისახება/კონკრეტდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსში;

9. სტუდენტს ეძლევა საშუალება შუალედური გამოცდა აღადგინოს საპატიო მიზეზ(ებ)ის (გამოუცხადებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით და სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის გამოცდაზე გამოცხადებას.) არსებობის შემთხვევაში სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელთან და ფაკულტეტთან შეთანხმებით;

10. საკონტაქტო საათებზე დასწრება თავისუფალია;

11. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ვალდებულია აღრიცხოს სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასებები ელექტრონულ ჟურნალში;

11. საპატიო მიზეზით შუალედური და დასკვნითი გამოცდის და სხვ. გაცდენა დადასტურებული უნდა იქნას ოფიციალური, იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით;

12. სტუდენტის შუალედური შეფასებები ძალაშია მხოლოდ მიმდინარე სემესტრის განმავლობაში, დამატებითი და დასკვნითი გამოცდების დასრულებამდე.

მუხლი 22. აპელაცია

1. სტუდენტს, შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან, არა უმეტეს 2 სამუშაო დღისა, შეუძლია განცხადებით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და გაასაჩივროს შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგები.

2. დეკანი განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის მანძილზე უზრუნველყოფს:

2.1 სტუდენტისთვის თავისი ნაშრომის გაცნობას;

2.2 სააპელაციო კომისიის შექმნას, რომელიც შედგება დარგის სპეციალისტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წევრისაგან.

2.3 იმ სტუდენტთა ნაშრომების გადაგზავნას სააპელაციო კომისიასთან, რომლებიც არ ეთანხმებიან გამოცდაზე მიღებულ შეფასებას და მოითხოვენ შედეგების გადასინჯვას.

3. კომისია ვალდებულია, ნაშრომის მიღებიდან 2 სამუშაო დღეში, ფაკულტეტს გადასცეს აპელაციის კომისიის დასკვნა.

4. კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია შეფასება გაიზარდოს ან ან დარჩეს იგივე.
5. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და ქულის ცვლილების შემთხვევაში, მოხდება ელექტრონულ ბაზაში მისი ასახვა გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

შენიშვნა: *სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალი, გარდა გასაჩივრებული სასწავლო კურსის განმახორციელებელისა.*

მუხლი 23. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება, დამატებითი სემესტრი

1. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ შესასრულებელი სამუშაოს წარმატებით დასრულების შედეგად.
2. სტუდენტს, რომელიც ვერ მიიღებს კრედიტს სავალდებულო ან არჩევით და თავისუფალ სასწავლო კურსებში, უფლება აქვს იგივე სასწავლო კურსი გაიაროს რამდენიმეჯერ;
3. სტუდენტმა, რომელმაც ვერ მოიპოვა აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელი - პროგრამით გათვალისწინებული - კრედიტების რაოდენობა, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო არაუმეტეს 4 (ოთხი) სემესტრის განმავლობაში;
4. დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წლისათვის დადგენილი ტარიფით;
5. ერთი კრედიტის ღირებულება გამოითვლება სასწავლო წლის საფასურის 60-ზე გაყოფით;
6. სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა საშუალება ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7. სტუდენტის მიერ თითოეულ სემესტრში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა აღირიცხება სტუდენტის ელექტრონულ სასწავლო ბარათში, რომელიც ინახება მის პირად საქმეში.

მუხლი 24. სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების განსხვავებულ საჭიროებებს, მოთხოვნებსა და აკადემიური მომზადების დონეს.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზანია, უზრუნველყოს სტუდენტის მხარდაჭერა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა თუ განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინებით.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს: განსაკუთრებული სამუშაო პირობების გამო, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, გარე და შიდა მობილობის განხორციელებისას, სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების არსებობისას და სხვ.
4. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებულ უნდა იქნას სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სწავლების სემესტრი, სწავლა- სწავლების, შეფასების ფორმები და პირობები.
5. არსებობის შემთხვევაში, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასევე მითითებულ უნდა იქნას სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები მატერიალური რესურსის მიმართ, ან/და შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის საჭიროება.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ზუსტი შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე.
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოთხოვნით, სტუდენტი წერილობით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტაცია.
8. საბოლოო გადაწყვეტილებას სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ იღებს სასწავლებლის რექტორი დეკანის წარდგინების საფუძველზე.
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ: სტუდენტმა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ხელმძღვანელებმა, სასწავლო კურსების განმახორციელებელმა ლექტორმა/ლექტორებმა, სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა.
10. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში.

მუხლი 25. სტუდენტისთვის გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა

1. ძირითად ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დროს, გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში, გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე

(საპატიო მიზეზის მითითებითა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით). გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი.
2. ძირითად ან დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის დროს, სტუდენტისთვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ (მაგრამ არა უმეტეს, იმავე სემესტრის ვადაში) გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე, დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს სასწავლებლის რექტორი.

მუხლი 26. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. სასწავლებლის სასწავლო პროცესის ორგანიზებას (მართვას) ახორციელებენ: სასწავლებლის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
2. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია სწავლება და სტუდენტთა შეფასება განახორციელოს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის სილაბუსის საფუძველზე;
3. სასწავლებელი სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების უკეთ ათვისების უზრუნველსაყოფად სასწავლებელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საქართველოს ბაზარზე არსებულ კომპანიებთან, საჯარო დაწესებულებებთან;
4. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება ქულათა სისტემით. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტიანია. შეფასებას ექვემდებარება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის აქტივობა (მაქს. ქულა - 60) და პრაქტიკის ანგარიში (შესრულება და დაცვა-მაქს. ქულა - 40).

თავი VIII. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 27. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს აქტიურად იყოს ჩართული სასწავლებლის ყოველდღიურ საქმიანობაში.

2. დაუშვებელია სტუდენტების აკადემიური თავისუფლების, აგრეთვე ,,უმაღლესი განათლების შესახებ“საქართველოს კანონით აღიარებულ სტუდენტის უფლებებში შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების

უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ წესით დადგენილი სასწავლებლის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.

3.1 კანონმდებლობითა და სასწავლებლის სამართლებრივი აქტებით დადგენილ უფლებების გარდა სასწავლებლის სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

გ)სასწავლებლის შინაგანაწესითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ)საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტურ თვითმმართველობაში და ფაკულტეტების წარმომადგენლობით ორგანოებში;
ე)თავისუფლად დააფუძნოს ან და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
ზ) საქართველოს კანონმდებლობისა შესაბამისად, სახელმწიფოსგან, სასწავლებლისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

თ) აირჩიოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა;

ი) მიიღოს ინფორმაცია არსებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და მოითხოვოს შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები;

კ) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ლ) პერიოდულად შეაფასოს სასწავლებლის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობა;

მ)მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ნ) ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ო) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

3.2. სასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ინდივიდუალური მომსახურეობის, ფინანსური დახმარების გაწევის, თუ სხვა შეღავათების დადგენაში.

მუხლი 28. სტუდენტის მოვალეობები

სასწავლებლის სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა; დაიცვას სასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, სასწავლებლის წესდება, სასწავლებლის შინაგანაწესი, სტუდენტის ეთიკის კოდექსი და სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 29. სასწავლო ხელშეკრულება

1. სასწავლებელი სტუდენტთან დებს სასწავლო ხელშეკრულებას.

2. სასწავლო ხელშეკრულება იდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების პერიოდის ვადით.

3. დაუშვებელია სასწავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლების საფასურის გაზრდა სწავლების პერიოდის განმავლობაში;

4. სასწავლო ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სტუდენტის მიერ, თუ სტუდენტი 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირია, ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელიც.

5.სასწავლო ხელშეკრულება შესაბამისად ფორმდება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება სასწავლებელს და ინახება სტუდენტის პირად საქმეში, ხოლო მეორე - გადაეცემა სტუდენტს.

მუხლი 30. სწავლის საფასური

1. სასწავლებელში სასწავლო პროგრამის ღირებულებას განსაზღვრავს სასწავლებლის რექტორი;

2. სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;

3. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;

4. სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის საფასური განისაზღვრება ხელშეკრულებაში მითითებული ტარიფით;

5. სტუდენტს უფლება აქვს, სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 1 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;

6. აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული სასწავლო კურსის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 10 დღის ვადაში, რის შემდეგაც დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გადატანის მოთხოვნა.

მუხლი 30[1]. სოციალურად მოწყვლად სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები

1. სტუდენტთა შემდეგ კატეგორიებს გაეწევათ შეღავათი სწავლის საფასურის გადახდისას:

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს;
2. სოციალურად დაუცველ პირებს;
3. დედ-მამით ობოლ პირებს;
4. მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს;
5. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს;
6. ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის გარდაცვლილ პირთა შვილებს.

2. ზემოთ აღნიშნულმა პირებმა, შეღავათის მისაღებად სასწავლებელში რეგისტრაციის დროს სტანდარტულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარადგინოს:

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამოწერის ფორმა (ფორმა N50/II,ასლი);
2. სოციალურად დაუცველმა პირმა - სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის თაობაზე;
3. დედ-მამით ობოლმა პირმა - დაბადების მოწმობა, მშობლების გარდაცვალების მოწმობა;

4. მრავალშვილიანი ოჯახის წევრმა - დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება 5 ან მეტი დედმამიშვილის ყოლის ფაქტი (დაბადების მოწმობა, და-ძმის დაბადების მოწმობა, მშობელთა ქორწინების მოწმობა);

5. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა პირმა - საქართველოს მოქალაქის მოქმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;

6. ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის გარდაცვლილ პირთა შვილმა - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა.

3. სტუდენტთა განცხადებები შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციის რეგისტრირდება სასწავლებლის კანცელარიაში, მათ განიხილავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ფაკულტეტთან ერთად და რეკომენდაციასთან ერთად გადასცემს სასწავლებლის რექტორს. რექტორი, არაუმეტეს ახალი სასწავლო წლის დასაწყისისა, გამოსცემს შესაბამის ბრძანებას სტუდენტისთვის ფინანსური შეღავათის გაწევის თაობაზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დაარღვევს სასწავლებლის შინაგანაწესს, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, მას არ ექნება შეღავათით სარგებლობის უფლება.

5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სწავლის საფასურის ნაწილს ფარავს სახელმწიფო დაფინანსება (გრანტი), შეღავათი გამოაკლდება სტუდენტის მიერ დარჩენილ სწავლის საფასურს.

თავი IX. აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 31. აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს საბაკალავრო პროგრამაზე შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ არანაკლებ 240 კრედიტს.

2. ბაკალავრიატის საფეხურისთვის დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ, პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და ეძლევა სასწავლებლის რექტორის მიერ დამტკიცებული, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული - უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - დიპლომი და დიპლომის დანართი.

თავი X. დასკვნითი დებულებები

მუხლი 32. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სასწავლებლის რექტორი.

2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება სასწავლებლის აკადემიური საბჭოს მიერ, რასაც ამტკიცებს სასწავლებლის რექტორი.